სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები და სწავლის საფასურის ხელმისაწვდომობა

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია იმ ფაქტორების შენარჩუნება და შემდგომი განვითარება, რაც სწავლების საფასურის ხელმისაწვდომობისა და საფასურის გადახდის მექანიზმების მიმართ სტუდენტთა კმაყოფილების მაღალ ხარისხს განაპირობებს;
- რეკომენდებულია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმების, აგრეთვე მათ მიმართ სტუდენტთა ინფორმირებულობის საკითხის უფრო დეტალური შესწავლა და როგორც სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის საუნივერსიტეტო პოლიტიკის, ისე სტუდენტთა ინფორმირების მექანიზმების შემდგომი განვითარება.

დასკვნები

- სტუდენტთა დამოკიდებულება სწავლის საფასურის ხელმისაწვდომობისა და სწავლის საფასურის გადახდის სქემის მიმართ დადებითია - მათი დიდი უმრავლესობა როგორც სწავლების საფასურს, ისე - საფასურის გადახდის სქემას სავსებით მისაღებად მიიჩნევს;
- სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმებსა და ამ მექანიზმების შესახებ ინფორმირებულობას სტუდენტთა დიდი ნაწილი დადებითად აფასებს.

ახსნა

სტუდენტთა დადებითი დამოკიდებულება სწავლის საფასურისა და სწავლის საფასურის გადახდის მექანიზმების მიმართ, კერძო უნივერსიტეტში, სადაც ბევრ საგანმანათლებლო პროგრამაზე საფასური სახელმწიფო დაფინანსების თანხას აღემატება, რამდენიმე ფაქტორით შეიძლება აიხსნას:

- სწავლის საფასური მათთვის უსდ-ს შერჩევამდეა ცნობილი და არჩევანს მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომობის ფარგლებში აკეთებენ;
- საუნივერსიტეტო პოლიტიკის მიხედვით არ ხდება სწავლის განმავლობაში ფინანსური პირობების სტუდენტის საზიანოდ შეცვლა;
- უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები;

- როგორც სხვა კითხვების ანალიზი გვიჩვენებს, სდასუ-ს მიმართ სტუდენტების კმაყოფილების დონე მაღალია - შესაბამისად, მათ რაციონალურად მიაჩნიათ ამ უნივერსიტეტში თანხის ინვესტირება.

სწავლის საფასურის ხელმისაწვდომობა და სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები

პარამეტრი	კმაყოფილება
F1. უნივერსიტეტში სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმების შეფასება: არ არის დამაკმაყოფილებელი, არის სავსებით დამაკმაყოფილებელი, მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელია	**92.9**
F2. უნივერსიტეტში სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმების შესახებ ინფორმაციით უზრუნველყოფის შეფასება: არ არის საჯარო, არის საჯარო	**81.4**
F3. უნივერსიტეტში სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმების შესახებ ინფორმაციით უზრუნველყოფის შეფასება: არის სავსებით ხელმისაწვდომი, არის მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომი, არ არის ხელმისაწვდომი	**88.1**
F4. თქვენი/თქვენი ოჯახის/სპონსორის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, თქვენს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის ხელმისაწვდომობის შეფასება: არ წარმოადგენს მნიშვნელოვან დანახარჯს, მნიშვნელოვანი დანახარჯია, მაგრამ არ უკავშირდება სერიოზულ სირთულეებს, არის მაღალი, გადახდა უკავშირდება სერიოზულ სირთულეებს	**80.2**
F5. უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გადახდის სქემის შეფასება: მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტთა საჭიროებებს, მეტ-ნაკლებად ითვალისწინებს სტუდენტთა საჭიროებებს, არ ითვალისწინებს სტუდენტთა საჭიროებებს	**89.4**
F6. უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გადახდის სქემა: არის მაქსიმალურად მოქნილი, არის მეტ-ნაკლებად მოქნილი, არ არის მოქნილი	**89.4**
F7. უნივერსიტეტში სტუდენტის ფინანსური შეღავათების სისტემა: არის სავსებით დამაკმაყოფილებელი, მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი, არ არის დამაკმაყოფილებელი	**87**
F8. უნივერსიტეტში სტუდენტის სხვა (არაფინანსური) შეღავათების სისტემა:სისტემა: არის სავსებით დამაკმაყოფილებელი, მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი, არ არის დამაკმაყოფილებელი	**90.5**